საკონკურსო დოკუმენტაცია

კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების შესყიდვა

ივნისი 2011 წელი

განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. მცხეთა მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.
2. კონკურსის მიზანს წარმოადგენს მცხეთა მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო ახალი ადმინისტრაციული შენობის საუკეთესო ესკიზური პროექტის გამოვლენა და შემდგომში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავება.

ტერიტორიის საერთო ფართი შეადგენს 7281 კვ.მ.

შენობა უნდა იყოს ორსართულიანი , რომლის საერთო საამშენებლო ფართი უნდა შეადგენდეს დაახლოებით 2700 კვ.მ. შენობაში უნდა განთავსდეს 4 დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული. თანამშრომელთა საერთო რაოდენობა შეადგენს 95 კაცს.

ტერიტორიაზე ასევე უნდა განთავსდეს დამხმარე ნაგებობა რომლის საამშენებლო ფართი დაახლოებით შეადგენს 400 კვ.მ. რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყვეს საქვაბის, საგენერატოროს და პერსონალისათვის ოთახების მოწყობა.

ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს ავტოსადგომი დაახლოებით 100 ერთეულ ავტომანქანაზე.

კონკურსანტმა 7 კალენდარული დღის ვადაში უნდა წარმოადგინოს მცხეთა - მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ახალი ადმინისტრაციული შენობის ესკიზური პროექტი , რომელიც უნდა შეიცავდეს:

1. გეგმების ესკიზები;
2. რენდერები (სასურველია ფოტო-მონტაჟი);
3. განმარტებითი ბარათი;
4. საპროექტო დოკუმენტაციის საერთო ღირებულება;

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შეფასების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს ვიზუალური მხარე.

გამარჯვებულ კონკურსანტთან დაიდება ხელშეკრულება წარმოდგენილი საპროექტო წინადადების საფუძველზე სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ვადაა 14 კალენდარული დღე.

შესყიდვი ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 20000.00 (ოცი ათასი) ლარს;

3. კონკურსში მონაწილეობის საფასური.

3.1 კონკურსში მონაწილე პირი, საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე:

მიმღების ბანკი	ს.ს ბანკ „რესპუბლიკის" ცენტრალური ფილიალი
	ბანკის კოდი 220101757
მიმღები	მიმღები: ს.ს.ი.ბ. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
	მიმღების ანგარიშის № 10591718543

3.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს არ განიხილება.

4. კონკურსის გამოცხადების თარიღია 2011 წლის მაისი, კონკურსი ჩატარდება 2011 წლის 10 მაისს 15 საათზე.

5. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ, საკონკურსო წინადადება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, უნდა წარმოადგინოს 2011 წლის 10 მაისს 15 საათამდე. შემდეგ მისამართზე ქ. მცხეთა სამხედროს ქ. №9. განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტების ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

საკონკურსო წინადადების ფასში სრულიად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები.

კონკურსში გამარჯვებული ორგანიზაცია პროექტირებისათვის მიიღებს დაზუსტებულ ტექნიკურ პირობებს.

შ.ს.ს მცხეთა მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო

1. მცხეთა მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო კონკურსს საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია: მცხეთა მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობისათვის (მის: ქალაქი მცხეთა ანტიოქიის მიმდებარე ტერიტორია) საჭირო საპროექტო მომსახურება.

საპროექტო მომსახურების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 20000.00 (ოცი ათასი) ლარს.

2. კონკურსში მონაწილეობის საფასური:

2.1 საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 19[1] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი).საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.procurement.gov.ge).

2.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

3. კონკურსი ჩატარდება 2011 წლის 10 მაისს 15 საათზე.

დაინტერესებულმა პირებმა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ და საკონკურსო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინოს 2011 წლის 10 მაისს 15 საათამდე. შემდეგ მისამართზე ქ. მცხეთა სამხედროს ქ. №9[1].

4. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა განისაზღვრება საკონკურსო წინადადების წარმოდგენის დღიდან 30 კალენდარულინ დღის განმავლობაში.

5.დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, მათ შორის საკონკურსო წინადადების წარმოდგენისათვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის გარეშე წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გატარდება რეგისტრაციაში და გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

6. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს კონკურსანტის მიერ, ხელმოუწერელი საკონკურსო წინადადება არ განიხილება.

7.კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შეაყიდვის პირობების და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011

წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის საფუძველზე.

8.დაინტერესებულ პირებს ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ საკონკურსო კომისიაში, საკონტაქტო პირი: მამუკა პატარქალიშვილი საკონკურსო კომისიის წევრი;
ტელეფონი: 877552099

გამარჯვების შემთხვევაში საპროექტო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს

1. სიტუაციური გეგმა;
2. გენგეგმა;
3. განმარტებითი ბარათი;
4. ფასადები და ჭრილები;
5. რენდერები;
6. არქიტექტურული ნაწილი ;
7. კონსტრუქციული ნაწილი;
8. სუსტი დენები. (კომპიუტერული; სატელეფონო და სატელევიზიო ქსელები);
9. სახანძრო სიგნალიზაციის სისტემა;
10. გათბობა-კონდიცირების სისტემა;
11. სარეზერვო ელექტრომომარაგება დიზელ -გენერატორი, ავტომატური გადამრთველით და დამცავი ნაგებობით;
12. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
13. ხარჯთალრიცხვა.

საპროექტო დოკუმენტაცია უნდა ჩაბარდეს დამკვეთს გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში.

კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა მიუთითოს:

ა) შესყიდვის ობიექტის ფასი დღგ-ს ჩათვლით;
ბ) ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების გაწევის თაობაზე;
დ) კონკურსანტის რეკვიზიტები;
ე) გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა (ესკიზი,გეგმარება ტექნიკური დავალების სესაბამისად) და საპრეზენტაციო მასალა;
ვ) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
ზ) ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დაეალიანების არარსებობის შესახებ;

საქართველოს შ.ს.ს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო (მის: ქ. მცხეთა სამხედროს ქ.№ 9ბ სახელმწიფო ხაზინა საიდ. კოდი 236097987) შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი სამმართველოს უფროსის ალექსანდრე მაისურაძის სახით და _____ შემდგომში წოდებული „მიმწოდებელად", წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც "მხარეები", ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის "**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**" საქართველოს კანონის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება"–საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 "შემსყიდველი"– ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 "მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.6 მომსახურება - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი

2. ხელშეკრულების საგანი

საქართველოს შ.ს.ს მცხეთა მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობისათვის (მის: ქალაქი მცხეთა ანტიოქიის მიმდებარე ტერიტორია) საჭირო საპროექტო მომსახურება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა_____ლარი.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების დასრულება ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 14 (თოთხმეტი) დღის განმავლობაში და მიაწოდოს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

შემსყიდველს 3 ეგზემპლიარად და CD დისკით შემდეგ მისამართზე ქ. მცხეთა სამხედროს ქ. №9.

ბ) საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები პროექტში შემსყიდველის დაკვეთით. ასევე განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულობები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. მომსახურების ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველს მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განახორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებენ _____.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორების შეუძლებელებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

6.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის საჭიროებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2 მომსახურების მიღება აწარმოებს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს საფინანსო სამეურნეო განყოფილების უფროსი გრიგოლ გოგსაძე.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტაა-ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და დღგ-ს არგადამხდელობის შესახებ ცნობის (საგადასახადო ორგანოდან) წარმოდგენიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში. თუკი

ანგარიშსწორების განხორციელდების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირსაგამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირსაგამტეხლო წუნდებული მომსახურების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირსაგამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირსაგამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირსაგამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

20.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

20.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველს უფლებამოსილია შეწყვეტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას; ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულობების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

14. სხვა პირობები

ხელშეკრულების შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი შემსყიდველს.

შემსყიდველი ორგანიზაცია:	მიმწოდებელი ორგანიზაცია:
საქართველოს შსს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო	